



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №106/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა მუკბანიანი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე დახმარებას უწევდა კლიენტს სამეზობლო დავაზე. მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე საადვოკატო მომსახურებად განისაზღვრა სარჩელის შედგენა და პირველი ინსტანციის პირველ სხდომაზე წარმომადგენლობა. აგრეთვე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე, რომელიც ავალდებულებდა ადვოკატს კლიენტისათვის გაეწია კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია და დაეცვა მისი ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში და სააღსრულებო წარმოებისას მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში. ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იყო ვადამდე ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. ადვოკატმა შეადგინა სარჩელი, სასამართლომ წარმოებაში მიიღო ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი და დაიწყო საქმის განხილვა. ადვოკატმა წარმომადგენლობა განახორციელა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ჩატარებულ სხდომებში. მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა კლიენტის ინიციატივით. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ გაუწია მას კვალიფიციური მომსახურება, კერძოდ, ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი არ იყო სამართლებრივად გამართული და იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. ადვოკატი არ დაეხმარა მას შესაგებლის შედგენაში და მან მხარი არ დაუჭირა მოსამართლის აცილების შუამდგომლობას. მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, ამ შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით ე.მ შეატყობინა ადვოკატს, თუმცა მან უარი განუცხადა შესაგებლის მომზადებაზე, ამიტომაც კლიენტმა თავად შეადგინა შესაგებელი და ადვოკატს სთხოვა, რომ გადაეხედა შეცდომების გამოსარიცხად, თუმცა ადვოკატმა კვლავ უარი განუცხადა. საჩივრის ავტორი თავიდანვე იყო ინფორმირებული, რომ ადვოკატს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კლიენტის მეორე მეზობელ ნ.მ-სთან და იმ შემთხვევაში თუ დავა წარმოიშობოდა ნ.მ-ს მიმართ, ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლობას ვერ განახორციელებდა ადვოკატი. სასამართლო პროცესზე მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით ადვოკატმა მ.უ-მ გააკეთა განმარტება, რომ პირადად მას არ სურდა მოსამართლის აცილება, არამედ კლიენტის პოზიციით იყო შებოჭილი და სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მას კლიენტი უნდა დაეცვა. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ ასევე გამოიხატა იმაში, რომ მ.უ-მ ე.მ დაიბარა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის ოფისში რამდენჯერმე, სადაც მათ საუბარს ეს უკანასკნელიც ესწრებოდა.

სამართლებრივი შეფასება

¹ <https://gba.ge/pdf/5e5f595d2d848.pdf/106.19%2003.12.2019%20ar%20agdzvra.pdf>

საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები აპეკ-ის 8.5 და 4.1 მუხლებისა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და 5(დ) მუხლების ფარგლებში. აპეკ-ის 8.5 მუხლი ავალდებულებს ადვოკატს, რომ პროფესიული ფუნქციები განახორციელოს კეთილსინდისიერად, რაც მოიაზრებს იმას, რომ ადვოკატმა ყველა კანონიერი ხერხი და საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად. ის მოვალეა, რომ კლიენტის სახელით განახორციელოს ყველა ის ქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რაც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების ხარისხს შეაფასებს. მხარეთა შეთანხმებით, მ.უ-ს უნდა შეედგინა სარჩელი და წარმოედგინა მხარე სასამართლოში. აქედან გამომდინარე ადვოკატის მოვალეობაში არ შედიოდა მოპასუხის მიერ აღძრულ შეგებებულ სარჩელზე შესაგებლის მომზადება. ამასთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეორე მოპასუხესთან და მის წინააღმდეგ არ სურდა პროცესზე გამოსვლა, რაც ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების დადებამდე იყო ცნობილი კლიენტისათვის. რაც შეეხება სასამართლო პროცესზე მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით ადვოკატის განმარტებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 06 ივნისს გამართულ სხდომის ოქმზე დაყრდნობით. კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებები არ ეწინააღმდეგება კლიენტის ინტერესებს. ის სასამართლო პროცესზე არ გამოსულა თავისი კლიენტის წინააღმდეგ, მან დააფიქსირა თავისი პირადი აზრი და ამასთანავე მხარი დაუჭირა აცილების განცხადებას. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არის კონფიდენციალური, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ის ინფორმაცია, რაც ადვოკატმა მიიღო კლიენტთან ურთიერთობის დროს უნდა იყოს მიუწვდომელი მესამე პირებისათვის, ამასთანავე აღნიშნული ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული. საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ მის საუბარს ადვოკატთან ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი, უთითებს იმას, რომ მხარეთა ურთიერთსაპირისპირო განმარტებების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის თანდასწრებით ადვოკატ მ.უ-სა და ე.მ-ს საუბრის ფაქტს. საპროცესო კოლეგიის აზრით არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ადვოკატმა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა.